ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 55/1

თბილისი „30" „04" 2012 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო" (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის თამარ მახარაშვილის სახით და მეორეს შპს „სტანდარტ პლუსი" (შემდგომში - „მიმწოდებელი")წარმოდგენილი მისი დირექტორის აკაკი ცუცქირიძის სახით

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. „შემსყიდველმა" განახორციელა გამარტივებული შესყიდვა საკუთარი შემოსავლების ფარგლებში, სააგენტოს საჭიროებისათვის საღებავების, კარის საკეტების,ონკანების, ვინტილების,უნიტაზის ხელთათმანის,ფუნჯის და დამაგრძელებლის (შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება SPV-კოდი44500000 - ხელსაწყოები, საკეტები, გასაღებები, ანჯამები, დამჭერები, ჯაჭვები და ზამბარები/რესორები,44800000 - საღებავები, ლაქები და მასტრკები,24200000 - საღებავები და პიგმენტები,24400000 - სასუქები და ნიტროგენული ნაერთები,42100000 - საწარმოო დანადგარები და მექანიკური ენერგიის გამოყენება,18100000 - სამუშაო ტანსაცმელი, სპეცტანსაცმელი და აქსესუარები,37800000 - ხელნაკეთობები და ხელოვნების ნივთების შესაქმნელად საჭირო მასალები,31200000 - ელექტროენერგიის გამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურა) შესყიდვაზე და „მიმწოდებელმა" აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი 3470 (სამი ათას ოთხასსამოცდაათი) ლარად (შემდგომში – „ხელშეკრულების საერთო ღირებულება").

2.2. ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

საქონლის დასახელება, სახეობები, რაოდენობა, ერთეულის ღირებულება და საერთო ღირებულება მითითებულია ხელშეკრულების დანართში #1.

4. საქონლის მიწოდების პირობები

საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან, მიმდინარე წლის 4 მაისის ჩათვლით, „შემსყიდველის" ოფისში, მისამართი: ქ.თბილისი, თამარაშვილის ქ. #15ა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება უნდა გაფორმდეს მიღება–ჩაბარების აქტით, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიხედვით.

5.2. საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს, საგადასახადო ანგარიშფაქტურას და სასაქონლო ზედნადებს დადგენილი წესის მიხედვით.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში;

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე;

6.3. ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ერთეჯერადად, ხელშეკრულების 5.2 პუნქტში მითითებული დოკუმენტებისა და ხელშეკრულების 15.1 პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი ინსპექტირების დასკვნის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღეში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1 „შემსყიდველს“ მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

7.1.2. მიაწოდოს „შემსყიდველს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ სრული და დროული დაფინანსება.

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს `შეთანხმების~ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით

მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

14.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ინსპექტირების პირობები

15.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სააგენტოს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი.

15.2. წიმანდებარე ხელშეკრულების 15.1. პუნქტით განსაღვრული პირის ფუნქციებია:

15.2.1. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლისა და ზედამხვედველობის განხორციელება;

15.2.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება და ,,მიღება-ჩაბარების აქტის'' გაფორმება.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მიმდინარე წლის 20 ივნისის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 5 გვერდზე, 4 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან'', სამი _ ,,შემსყიდველთან''

„შემსყიდველი"

სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო"
ქ. თბილისი წერეთლის გამზ. #144
ს/ს „საქართველოს ბანკი"
კოდი № BAGAGE22
ა/ა № GE65BG0000000878284200
ს/კ # 202465153

თამარ მახარაშვილი
დირექტორი

„მიმწოდებელი"

შპს „სტანდარტ პლუსი"
ქ. თბილისი, გოგებაშვილის 1-ლი
გას. #5
ს/ს „პროკრედიტ ბანკი"
ბანკის კოდი № MIBGGE22
ანგარიშის №GE57PC0223600100006634
საიდენტიფიკაციო კოდი №204518708

ავაკი ცუცქირიძე
დირექტორი

დანართი #1

საქონლის ჩამონათვალი

№	დასახელება	კოდი	რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ფასი (ლარი)	ჯამი
					დღგ-ის ჩათვლით
1	კარის საკეტი 85	44521110	3	15	45,00
2	საღებავი Betek Matt Senthetik Paint 15ლტ	44810000	12	120	1440,00
3	კოლერ პასტა Pigment Mix (80მლ პიგმენტი)	24200000	80	3,5	280,00
4	ემალი საღებავი პფ-115 "დეკორი" ალუბლისფერი 2.6 კგ	44810000	2	15	30,00
5	ემალი საღებავი პფ-115 "დეკორი" წითელი 2.6 კგ	44810000	3	15	45,00
6	ზეთოვანი საღებავი ფინალი №7 2,5ლიტ.	44810000	2	15	30,00
7	უნიტაზი №7	44411740	7	120	840,00
8	შემრევი ონკანი	42131000	8	25	200,00
9	ვინტელი 1/2 კ 28	42131000	10	15	150,00
10	ხელთათმანი რეზ. დაფარვით "სერი"	18141000	12	1,5	18,00
11	ფუნჯი (21025)№2.5	37821000	10	4	40,00
12	20სმ ლილვაკი ექსპორტი 1080	37821000	3	8	24,00
13	დამაგრძელებელი 3/3	31200000	12	9	108,00
14	სიკატივი ვაით–სპირიტ. ბაზაზე 2 კგ (გამხსნელი)	44832200	20	11	220,00
					3470,00 ლარი

სსიპ "სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო"

თამარ მახარაშვილი
დირექტორი

შპს "სტანდარტ პლუსი"

ავალი ცუცქირიძე
დირექტორი